ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2764269

ნომერი: AR1423541

თარიღი : 18.07.2016

გაცემის თარიღი : 12.08.2016

გაცნობის თარიღი : 22.09.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი გურამიშვილი , N 8 ა , (ნაკვეთი N37/41) / ქალაქი თბილისი , გამზირი გურამიშვილი , N 8 ა , (ნაკვეთი N37/42) / ქალაქი თბილისი , გამზირი გურამიშვილი , N 8 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მჭედლიშვილი პ/ნ 01007001686
- წერეთლის გამზირი 71, ბ.24

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 18 ნოემბრის №2303520 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016 წლის 18

ივლისს №AR1423541 განაცხადით მომართა გიორგი მჭედლიშვილმა და ამავე სამსახურის 2015 წლის 18 ნოემბრის №2303520 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მოითხოვა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 18 ნოემბრის №2303520 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზ. №8ა, (ნაკვეთი№37/41), გურამიშვილის გამზ. №8ა, (ნაკვეთი№37/42), გურამიშვილის გამზ. №8, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/:№01.12.08.037.093) მრავალფუნქციური შენობის (საცხოვრებელი, კომერციული) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
წარმოდგენილი განაცხადით მოთხოვნილია სამსახურის 2015 წლის 18 ნოემბრის №2303520 ბრძანებაში საერთო, საცხოვრებელი, კომერციული, საზაფხულო, კიბის უჯრედისა და სდარბაზოს და ავტოსადგომის ფართობების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები დაფიქსირდეს შემდეგნაირად: საერთო ფართობი (კვ.მ).: 14890.12, საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 1803.46, საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ): 8172.6, კომერციული ფართობი (კვ.მ): 2198.19, ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ): 1658.26, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ): 1057.61, ხოლო შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს №AR1423541 განაცხადით წარმოდგენილი შესწორებული გეგმებით.

სამსახურმა 2015 წლის 18 ნოემბრის №2303520 ბრძანებით შეთანხმებული არიქტექტურული პროექტის და განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და შესწორებული გეგმები შეესაბამება შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს, შესაბამისად განმცხადებლის მოთხოვნა ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე საფუძვლია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 18 ნოემბრის №2303520 ბრძანებაში, კერძოდ ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი (კვ.მ).: 14890.12, საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 1803.46, საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ): 8172.6, კომერციული ფართობი (კვ.მ): 2198.19, ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ): 1658.26, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ): 1057.61, ხოლო 2015 წლის 18 ნოემბრის №2303520 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს №AR1423541 განაცხადით წარმოდგენილი შესწორებული გეგმებით. სამსახურის 2015 წლის 18 ნოემბრის №2303520 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 18 ნოემბრის №2303520 ბრძანებასთან ერთად;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.